16
ივლისი

სამშაბათი,
1963 წ.
№ 139 (2244)
გამოცემის მე-19 წელი.
ფასი 3 კაპ.



თბილისის „დინამოს“ მარჯვენა გარემარბი ს. მეტრეველი საგანგებო მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდა აყვანილი მოსკოვის „დინამოს“ დაცვას, მისი გარღვევები ყოველთვის ხიფათის წინ აყენებდა მოწინაალმდეგის კარს.

* * *

სურათზე: ს. მეტრეველი იბრძვის მოსკოველთა მცველების გარემოცვაში. მის მარჯვნივ — ვ. კოროლენკოვი (№ 10), მარცხნივ— ე. მუდრიკი (№ 4). მიწაზე წვანან ვ. ცარევი (№ 6) და ვ. რიაბოვი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ
სპორტულ საზოგადოებათა
და ორგანიზაციების
კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური
საბჭოს ორგანო

მოფარიკავეების დიდი ფორუმი

გუშინ დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატი

გუშინ პოლონეთის ქალაქ გდანსკში, რომელიც სწორედ ახლა ზეიმობს დაარსების 1000 წლისთავს, გაიხსნა მსოფლიო ჩემპიონატი ფარიკაობაში, რომელიც 26 ივლისამდე გასტანს. აღნიშნული ჩემპიონატი რიგით ოცდამერვეა.

მოფარიკავეთა აღნიშნული ფორუმი მთელი პოლონეთის, მითუმეტეს გდანსკის მოსახლეობის საყოველთაო ინტერესით სარგებლობს. ეს გასაგებიცაა, რამდენადაც პოლონეთი ითვლება ერთ-ერთ უძლიერეს სპორტულ ქვეყნად მთელს მსოფლიოში ამ სახეობაში. პოლონელი მოფარიკავეები არაერთგზის მსოფლიო ჩემპიონები არიან და ეს ტიტული მათ გასულ ჩემპიონატზეც მოიპოვეს.

ახალი ჩემპიონატი სარეკორდო აღმოჩნდა მონაწილეთა რაოდენობის მხრივ. მასზე განაცხადი წარმოადგინა 30-მდე ქვეყანამ, რომელთა შორისაა როგორც ნაცადი ფავორიტები (პოლონეთი, სსრ კავშირი, უნგრეთი, იტალია, რუმინეთი, საფრანგეთი და ა.შ.), ისე ახალბედა „მაძიებლები“ — იაპონია, ავსტრალია, ტუნისი, მალაია და სხვ. უნგრეთის მოფარიკავეებმა ჯერ კიდევ ჩემპიონატის დაწყებამდე დაიკავეს პირველი ადგილი... მონაწილეთა რაოდენობის მხრივ. მათ გუნდში 48 სპორტსმენია. 31 სპორტსმენი წარმოადგინა გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, 25 — ამერიკის შეერთებულმა შტატებმა.

გდანსკში ჩავიდა საბჭოთა კავშირის მოფარიკავეთა ნაკრებიც, რომელიც ჩემპიონატის ერთ-ერთ უპირველეს ფავორიტად ითვლება. ჩვენი ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში არიან მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონები და ექსჩემპიონები — გ. სვეშნიკოვი, ა. ზაბელინა, ბ. ხაბაროვი, ი. რილსკი, ვ. ჟდანოვიჩი, ჩვენი ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენები გ. გოროხოვა, დ. ნიკანჩიკოვა, მ. მიდლერი, უ. მავლიხანოვი, ნ. ასათიანი, ი. შაროვი, ი. ვიტებსკი და სხვანი. მაგრამ ჯერ კიდევ ცნობილი არ არის, თუ სახელდობრ რომელ მათგანს მოუწევს ჩვენი ქვეყნის სპორტული ღირსების დაცვა, ვინ დაკმაყოფილდება სათადარიგო სპორტსმენის სკამით და ბოლოს — ვის მოუწევს მხოლოდ მაყურებლის როლში გამოსვლა.

მაშ ასე — გუშინ, გვიან საღამოს, მსოფლიოს უძლიერესმა მოფარიკავეებმა პირველად გადააჭდვეს ერთმანეთს იარაღები...

შეხვდებიან „გიგანტები“

ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარე წლის სპორტული სეზონი მაღალი შედეგებით აღინიშნა. ამას წინათ ქალაქ სენტლუისში დამთავრებულ ამ ქვეყნის ეროვნულ პირველობაზე ნაჩვენები იქნა მაღალი შედეგები. ასეთი დაძაბული ბრძოლა აშშ-ს ჩემპიონატზე იმით აიხსნება, რომ იგი ამავე დროს შესარჩევი შეჯიბრება იყო სსრკ—აშშ-ს მძლეოსანთა მატჩის წინ, რომელიც 20-21 ივლისს გაიმართება მოსკოვში.

ვინ ჩამოვა ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში?

ამერიკელმა სპრინტერებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს თავიანთი ოსტატობა. 100 იარდზე (91,44 მ) ახალგაზრდა ზანგმა მორბენალმა რ. ჰეიისმა დაამყარა მსოფლიო რეკორდი — 9,1 წ., რაც უდრის 100 მეტრზე 9,9 წამს. ესეც მსოფლიო რეკორდია. ფინიშთან მეორე იყო ჯ. ჯილბერტი — 9,2. ჰ. კარი და პ. დრაიტონი 220 იარდზე (201,17 მ) რბენაში ფინიშთან ერთდროულად მივიდნენ — 20,4 წ. ეს შედეგი 0,1 წამით უარესია მსოფლიო რეკორდზე. აშშ-ს სტუდენტთა პირველობაზე ა. პლამერმა 440 იარდი გაირბინა 44,9 წამში და დაამყარა მსოფლიო რეკორდი. ეს შედეგი 400 მეტრზე უდრის 44,6 წამს. მაგრამ პლამერმა მოსკოვის საგზური ვერ მიიღო, რადგან ამერიკის ჩემპიონატზე წააგო უ. უილიამსთან. უილიამსის გარდა ლუჟნიკებში გამოვა რ. სადლერი. უნდა ითქვას, რომ 4×100 მ და 4×200 მ ესტაფეტებში საჭიროა კიდევ ორი სპრინტერი. ისინი ამერიკელებს ჰყავს.

ამერიკელ მორბენლებს წამყვანი პოზიციები უკავიათ 800 და 1500 მეტრზე რბენაში. 880 იარდზე შეჯიბრება მოიგეს დ. დიუპრიმ და მ. გროსმა, რომელთა შედეგი 800 მეტრზე გადაყვანით უდრის 1.46.4 და 1.46,6. ეს მესამე და მეოთხე შედეგია მიმდინარე წელს მსოფლიოში. მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი სპორტსმენი 1500 მეტრზე რბენაში ჯ. ბიტი ერთ მილზე (1609 მ) მხოლოდ მეოთხე იყო. გაიმარჯვეს დ. ბარლესონმა (3. 40, 7) და ტ. ოხარამ (3. 40, 9). ეს შედეგები გამოთვლილია 1500 მ დისტანციაზე რბენაში. მოსკოვში ვერ ჩამოვლენ ისეთი განთქმული მორბენლები, როგორებიც არიან ქ. ვეიზინგერი და ჯ. გრელე.

გრძელ დისტანციებზე ამერიკელებს საქმე ისე კარგად არა აქვთ, როგორც სპრინტში. სამი მილი დ. კიფმა გაირბინა 13.45,4, რაც უდრის 5000 მეტრზე — 14.15,0. ლუჟნიკებში 5000 მეტრზე რბენაში გამოვა ჯ. ბიტი. თუ გავიხსენებთ ამ სპორტსმენის გასული წლის შედეგს — 13.45,0 მის უდიდეს გამძლეობას, შუა მანძილებზე მორბენლის სისწრაფეს, შეიძლება არ შევცდეთ, რომ ვთქვათ, იგი პირველობის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტია მძლეოსნობის ამ სახეში. 10 კილომეტრი რბენის სტარტზე გამოვლენ პ. მაკ-არდლი და ნ. სარჯენტი.



110 და 400 მეტრზე თარჯრბენში ამერიკელები მხოლოდ ღვიანთი ძალებით ავსებენ მსოფლიოს 10 უძლიერესის სიას. მოსკოვში ჩამოსვლის უფლება მოიპოვეს ჰ. ჯონსმა და ბ. ლინგრენმა, რომლებმაც 110 მეტრზე თარჯრბენში თანმიმდევრულად აჩვენეს 13,4 და 13,5 წ. რ. კოული, რომელმაც ამას წინათ მსოფლიო რეკორდი დაამყარა 400 იარდზე თარჯრბენში (49,6 წ.), აჩვენა მხოლოდ 50,4 წ. რაც უდრის 400 მეტრზე თარჯრბენში 50,4 წამს. 3000 მეტრი წინაღობებით დაბალი შედეგით მოიგეს ტრეინორმა და ზვოლაკმა. სენსაციური შედეგით დამთავრდა სიმაღლეზე მხტომელთა შეჯიბრება. ჯ. თომასი მხოლოდ მეხუთე იყო. გაიმარჯვეს ჯ. ჯონსონმა და ჯ. ალენმა—213 სმ. ჩვენ ლუჟნიკებში ვერ ვნახავთ ფ. შინიკს, რომელმაც გაზაფხულზე სიგრძეზე ხტომაში აჩვენა 833 სმ. ეროვნული პირველობა მოიგეს რ. ბოსტონმა (814 სმ) და დ. ჰორნმა (802 სმ). მსოფლიოს უძლიერეს ჭოკით მხტომელთა სიას სათავეში უდგას ამერიკელი სტუდენტი ბ. სტერნბერგი, რომელმაც ამას წინათ დაამყარა მსოფლიო რეკორდი შედეგით 508 სმ. ამ სიაში მეათე შედეგი უდრის 489 სმ-ს და 9 ადგილი ათიდან ამერიკელებს ეკუთვნით.

შესანიშნავმა ჭოკით მხტომელმა ჯ. პენელიმ გასულ შაბათს ლონდონში დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი 510 სმ და იგი ლონდონშივე შეუერთდება ჩვენს ქვეყანაში გამომგზავრებულ აშშ-ს გუნდს. იგი მოსკოვში გამოვა ბ. სტერნბერგის ნაცვლად, რომელმაც ამ დღეებში ტრავმა მიიღო.

სამხტომი — ამერიკელ მძლეოსანთა სუსტი ადგილია. ვეტერანებმა კ. ფლერკემ და ბ. შარპმა ეროვნულ პირველობაზე აჩვენეს 15,74 მ და 15,50 მ.

(დასასრული მე-3 გვ.)

ზონების სპარტაკიადებიდან

მოსკოვი

მოსკოველი სპორტსმენები უძლიერესნი იყვნენ ჩვენი ქვეყნის წინა ორ სპარტაკიადაში და ისინი არც ამჯერად აპირებენ პოზიციების დათმობას. დედაქალაქის სპარტაკიადის ფინალში თავი მოიყარა 1000-ზე მეტმა სპორტსმენმა.

განსაკუთრებით საინტერესო იყო მძლეოსანთა შეჯიბრება, სადაც მოსკოველთა გარდა ძალებს ცდიდნენ საკავშირო ნაკრების ის წევრებიც, რომლებიც 20-21 ივლისს შეებრძოლებიან ამერიკელებს „გიგანტთა მატჩში“.

წარმატებას მიაღწია ქალთა გუნდმა ესტაფეტაში 4×200 მეტრზე. უკანასკნელ ეტაპზე მ. იტკინამ და გ. პოპოვამ კიდევ უფრო გაზარდეს თანაგუნდელთა მიერ წინა ეტაპებზე მოპოვებული წარმატება და აჩვენეს 1.35,1. ეს შედეგი 1,4-ით აღემატება 10 წლის წინათ დამყარებულ საკავშირო რეკორდს და 0,9-ით—5 წლის წინათ გდრ-ს გუნდის მიერ დამყარებულ ევროპისა და მსოფლიო რეკორდს. ვაჟთა ესტაფეტაში 4×100-ზე გაუმჯობესდა მოსკოვის რეკორდი — 40,8.

უკრაინა

დამთავრდა უკრაინის სპარტაკიადაც. გაიმარჯვეს კიეველებმა. მძლეოსანთა შეჯიბრებაზე ა. ალიაბიევმა სამხტომში აჩვენა 16.39 მ და რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა. კიეველმა ვ. არხიპჩუკმა 400 მ გაირბინა 46,4-ში, რაც საბჭოთა სპორტის ისტორიაში მეორე შედეგია ამ დისტანციაზე.

ტანმოვარჯიშეთა ტურნირი ქალთა შორის მოიგო პ. ასტახოვამ — 77,25 ქულა, ლ. ლატინინა მეორე ადგილზეა — 77,15 ქულა. აკადემიურ ნიჩბოსნობაში პირველი იყო „ბურევესტნიკის“ გუნდი.

როცა გული გულობს...

ყველაფერი დაიწყო პატარა შემთხვევით. მასწავლებელ მ. ქურდოვანიძეს შვილებმა თხოვეს ჭადრაკის თამაში გვასწავლეო. უარის თქმა არ შეიძლებოდა, მითუმეტეს, რომ თვითონ მიხეილს ძალიან უყვარს ჭადრაკი და მის საიდუმლოებაშიც საკმაოდ კარგადაა ჩახედული. პირველმა გაკვეთილებმა უჩვეულო რეზონანსი გამოიწვია. მის შვილებს სკოლის ამხანაგებმა, რომლებიც აგრეთვე დაინტერესებული ყოფილან ბრძნული თამაშით, თხოვეს: მამამ ყველას წაგვიკითხოს „ლექციებიო“. ამას არ მოელოდა მ. ქურდოვანიძე. არც ამ შემთხვევაში შეეძლო უარის თქმა. და მან მიაშურა ცხაკაიას სპორტკავშირის თავმჯდომარეს შ. ჩიქობავას.

— ჩემმა შვილებმა „ოინი“ მიყვეს, — შესჩივლა მან თავმჯდომარეს. — უნდა დამეხმაროთ ჭადრაკით დაინტერესებული ბავშვებისათვის სამეცადინო ოთახის გამოძებნაში. გასამრჯელოს არ ვთხოულობ.

ენთუზიასტს სპორტკავშირთან ერთად დახმარების ხელი გაუწოდა ქალაქის კულტურის სახლის დირექციამ, რომელმაც პატარა ოთახი გამოუყო ნორჩ მოჭადრაკეებს.

— უნდა გენახათ, როგორი გაბრწყინებული თვალებით მოდიოდნენ ბავშვები ჯგუფებში ჩასაწერად, — იგონებს მიხეილი, — ცხაკაიელი მოჭადრაკეები აღფრთოვანებით გამოეხმაურნენ კეთილშობილურ წამოწყებას.

მ. ქურდოვანიძე მიჩვენებს უამრავ საჭადრაკო წიგნს, რომლებიც გადაუციათ ნორჩი მოჭადრაკეებისათვის საჭადრაკო ბიბლიოთეკის შესაქმნელად.

— ბავშვების ნაკადი შესამჩნევად გაიზარდა, — ამბობს მ. ქურდოვანიძე. — მათი რიცხვი აღემატებოდა ჩემს შესაძლებლობებს, მაგრამ ბავშვებისათვის გულის დაწყვეტა არ მინდოდა. ამიტომ ვთხოვე ჩვენს მოჭადრაკეს, პირველთანრიგოსან ა. ჯობავას დამხმარებოდა. ის სიამოვნებით დამთანხმდა და დღეს ორნი ვუძღვებით საქმეს.

ცხაკაიაში მალე გახმიანდა ნორჩ მოჭადრაკეთა კერის შექმნის ამბავი. „სკოლას“ არავითარი ინვენტარი არ ჰქონდა. მაგრამ მხოლოდ ცოტა ხანს. ქალაქის სკოლებმა და სხვა ორგანიზაციებმა ხელი გაუმართეს ენთუზიასტებს. მათ „სკოლას“ გადასცეს მაგიდები, სკამები და სხვ.

ჩვენ გავეცანით „სკოლის“ საქმიანობას, რომლის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას იძლევა საკლასო ჟურნალები. „სკოლაში“ შექმნილია შვიდი ჯგუფი, რომლებშიც 113 ბავშვია გაერთიანებული. ისინი 7-17 წლის ასაკის არიან. ყველა ნორჩი მოჭადრაკე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში წარჩინებით სწავლობს.

—თავისი მუშაობის თითქმის შვიდი თვის მანძილზე შესამჩნევი რამ გაკეთდა, — გვეუბნება შ. ჩიქობავა და გვიჩვენებს შეჯიბრებათა ცხრილებს.—იმ ბავშვების წრიდან, რომლებმაც მანამდე იცოდნენ თამაში, ცამეტმა მესამე თანრიგი მიიღო.

— რომელიმე მნიშვნელოვან ტურნირში თუ მიუღიათ მონაწილეობა ამ ბავშვებს?

— როგორ არა! საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადაზე სწორედ ამ „სკოლის“ მოჭადრაკეები მივავლინეთ. გუნდში იყვნენ ს. ბოთარაშვილი, რ. კუცია და ლუარა ხვიჩია. მეორე ჯგუფის გუნდებში ამ ბავშვებმა მე-6 ადგილი დაიკავეს, რაც წარმატებად მიგვაჩნია.

ნორჩ მოჭადრაკეთა სწავლების თემატიკა დაუმუშავებია თვით მ. ქურდოვანიძეს. რასაკვირველია, ის ჭადრაკის თეორიის ელემენტარულ ცოდნას შეიცავს. სამწუხაროდ, ჩვენ არაფრის შეთავაზება შეგვეძლო, ვინაიდან დღემდე არ არსებობს ქართულ ენაზე ნორჩი მოჭადრაკეების მომზადების პროგრამა. უამისობა კი იგრძნობა.

ქებით მოიხსენია საზოგადოებრივ საწყისებზე ამოქმედებული საჭადრაკო „სკოლა“ საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. შონიამ. საუბარში რაიონის პარტიულმა ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ განზრახული აქვს უმოკლეს დროში „სკოლას“ უკეთესი ადგილსამყოფელი გამოუნახოს.

— საერთოდ, რაიონი დიდად გამოეხმაურა „სკოლის“ შექმნას, — ამბობს შ. ჩიქობავა. — გაზეთმა „კოლხეთის ცისკარმა“ შესაფერისად გააშუქა ენთუზიასტთა თაოსნობა. რაიონის საჭადრაკო სექცია, რომელსაც მ. ქურდოვანიძე ხელმძღვანელობს, მხარში უდგია „სკოლას“. აქ ხშირად ნახავთ ძველ მოჭადრაკეებს, პირველთანრიგოსნებს ექიმ ვ. კეშელავას, ინჟინრებს ო. თვალთვაძეს, კ. კალანდაძეს, გ. ხოჭოლავას, კ. ნინუას, მასწავლებელ ა. ცხადაიას და სხვებს, რომლებიც ეთამაშებიან ხოლმე პატარა კოლეგებს.

— ხომ არ გაგვაცნობთ მ. ქურდოვანიძის პიროვნებას?

— მას ყველა იცნობს ცხაკაიაში. ის პროფესიით მშენებელი ინჟინერია, მაგრამ ბოლო წლებში მასწავლებლობს. მე-5 საშუალო სკოლაში ასწავლის ტექნიკურ საგნებს. ჭადრაკში მას მხოლოდ მეორე თანრიგი აქვს, მაგრამ, როგორც შევამჩნიეთ, საკმაოდ კარგადაა გარკვეული ჭადრაკის თეორიაში. საინტერესოა, რომ ახალგაზრდობაში ჩვენი მიხეილი კარგი მოჭიდავე იყო. საქართველოს პირველობაშიც მიუღია მონაწილეობა.

ცხაკაიაში კარგი ინიციატივა დამკვიდრდა. როცა გული გულობს, ყოველთვის ასეა. ახლა საჭიროა რესპუბლიკის საჭადრაკო ფედერაციამ ყურადღება მიაქციოს კეთილშობილური საქმის წამომწყებთ და ჩვენმა ოსტატებმა ჩააკითხონ ხოლმე ცხაკაიას საჭირო დახმარების გასაწევად. ანთებული კერიიდან კვამლი სულ უნდა ამოდიოდეს.

თ. გიორგაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუბილარი მწვერვალი

40 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს ალპინიზმის პიონერებმა, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორის გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით საფუძველი ჩაუყარეს საბჭოთა ალპინიზმს. ამ ხნის განმავლობაში ქართველმა მთასვლელებმა ბევრი სახელოვანი ფურცელი ჩაწერეს ალპინიზმის ისტორიაში. ამ საიუბილეო თარიღს ჩვენი ქვეყნის მთასვლელები თბილისში იზეიმებენ ოქტომბერში.

საქართველოს ალპინიზმის ფედერაციამ გადაწყვიტა საიუბილეო თარიღი პირველად მყინვარწვერზე მასობრივი ასვლით აღენიშნა. ამ საქმის ხელმძღვანელობა დაევალა სსრ კავშირის სპორტის ოსტატს დ. ობოლაძეს. და აი პროფსაბჭოს ალპინიადის 40 მონაწილე ეთხოვება მშობლიურ თბილისს და საქართველოს სამხედრო გზით მიემართება სტეფანწმინდისაკენ, სადაც დაირწა ალპინიზმის აკვანი. თბილისელი ნაცნობ-მეგობრების პროგნოზები მართლდებოდა: ზამთარს თავისი დაღი დაემჩნია ბუნებისათვის. ჯვრის უღელტეხილზე მანქანა თოვლის ხანგრევში მიდიოდა, ხოლო თერგის აზვირთებული მღვრიე ტალღები იმის მოწმე იყო, რომ მთებში გაზაფხული ძალაში ივნისის თვეში შესულიყო მხოლოდ.

საღამოს ალპინიადის მონაწილეები ს. გერგეტში შევიდნენ, აქ „საულდის კარში“ ო. მოჩაიშვილს მშვენიერი ადგილი შეერჩია წინასწარ ბანაკისათვის. აქ კარვებში უნდა ეცხოვრათ ახალბედებს. ისინი უნდა დაუფლებოდნენ ალპინიზმის ტექნიკას, შეგუებოდნენ მაღალმთიან პირობებს და შემდეგ მიეტანათ იერიში მყინვარწვერზე. ალპინისტების წვრთნას ხელმძღვანელობენ მრავალნაცადი ინსტრუქტორები: ო. ხაზარაძე, ვ. გაბელაშვილი, ვ. თევდორაშვილი, ვ. ქირიკაშვილი და ო. ცერცვაძე. დაიწყო ბანაკის მოუსვენარი ცხოვრება — მეცადინეობები კლდეზე ცოცვაში, მთის აქაფებული მდინარეების გადალახვა და სხვ. მონაწილენი მეცადინეობებს შორის პოულობდნენ დროს და ეცნობოდნენ ადგილობრივ ღირსშესანიშნაობებს, სწავლობდნენ მდინარეთა სათავეებს, ეცნობოდნენ მეცხვარეების ცხოვრებას, წვიმიან დღეებში თავს აფარებდნენ გამოქვაბულებს. მხოლოდ ეს იყო, რომ არ იქნა არ გამოჩნდა მყინვარწვერი, იგი სულ ტყვიისფერი ღრუბლებით იყო დაფარული. მოეწყო ორდღიანი ლაშქრობა გერგეტის მყინვარწვერზე. აქ ახალბედები დაეუფლნენ ციცაბო თოვლიან ფერდობებზე სიარულს, ყინულზე საფეხურების ჭრას, ნაპრალებზე გადასვლას.

დადგა გამგზავრების დღეც. 40 კუნთმაგარი ვაჟკაცი ახალ ბრძანებას ისმენდა. იწყება დიდი ლაშქრობა მყინვარწვერზე. იზნიქება წელი მძიმე ზურგჩანთების ქვეშ, ქანაობს ჩხერისწყალზე სახელდახელოდ გადებული ხიდი, უკან, სადღაც ხევში, ჩაიმალა სტეფანწმინდა. მაღალ მთაზე აღმართული სამების ტაძარიც ქვევით დარჩა. გზად შემხვედრი მეცხვარეები მშვიდობით დაბრუნებას გვისურვებენ. საღამოს მეტეოროლოგიურ სადგურში გავშალეთ ბანაკი. მეორე დღე დასვენების დღედ გამოცხადდა. ახალბედები უნდა შეგუებოდნენ თხელ ჰაერს, რომელიც ერთ-ერთი მთავარი საფრთხეა მყინვარწვერზე ამსვლელთათვის.

ინსტრუქტორები ვ. წიკლაური და ვ. გაბელაშვილი ორწვერისაკენ გავიდნენ, რათა დაეზუსტებინათ როგორ მდგომარეობაში იყო თოვლის საფარი. მტკიცედ იდო თუ არა თოვლის გრუნტი ყინულზე. მოსალოდნელი იყო თუ არა ზვავების წარმოშობა მყინვარწვერის ციცაბო ფერდობებზე. საშინელი ამინდი დადგა — ქროდა ქარი და თოვდა შეუჩერებლად, გრუხუნებდა ორწვერის ფერდობებზე ზვავები. შემოწმებულ იქნა მეტეოროლოგიური ხელსაწყოები, დავუკავშირდით გუდაურასა და ჯვრის მეტეოსადგურებს. გათვალისწინებულ იქნა წვრილმანი და საღამოს 8 საათზე გაიცა ბრძანება: „დილის 3 საათზე გავდივართ იერიშზე“. მონაწილენი გაოცებული იყვნენ — ასეთ ამინდში იერიშის დაწყება.

4 ივლისის დილის 3 საათია. 40 ახალგაზრდა საიერიშო ფორმაში ელის გასვლის ბრძანებას. გამართლდა პროგნოზი, აღარ თოვს. ქარიც არაა, ოღონდ ნისლების ფარდები სქლად დაშვებულა და თანაც უჩვეულო სითბოა. ესეც ახალი მოულოდნელობა. მაღალმა ტემპერატურამ შეიძლება გაადნოს თოვლის ზედა ფენები, მოწყდეს იგი ყინულს და წამოვიდეს ზვავებად. საჭიროა დიდი სიფრთხილე. ვახტანგ ქირიკაშვილი მოწინავე ჯგუფით გადის წინ, რათა გატეხოს თოვლი და შეარჩიოს კოლონისათვის უხიფათო გზა. ნაპრალები თოვლითაა ამოვსებული. 9 საათზე მაილის პლატოზე გავედით. მხედველობა მთლიანად გაქრა. აქ ვდგამთ კარავს. შეიძლება ვინმე ჩამორჩეს, უმტყუნოს გულმა და მუხლმა, მაშინ ის აქ დაელოდება დანარჩენებს. დროდადრო დაიძვრება ნისლი და მოჩანს დაკიდებული ყინულის ლავგარდანები. ძნელია მყინვარწვერზე ნისლში მოძრაობა. ამას აღნიშნავს ყველა მთასვლელი. ერთფეროვან თოვლის სამყაროში ადვილად შეიძლება აგებნეს გზა და უფსკრულს გადაიჩეხო.

ზვავების საფრთხე დაძლეულ იქნა და 12 საათზე უნაგირზე ავედით. უკანასკნელი 100 მეტრია დასაძლევი. ქარს თოვლი მთლიანად გადაეწმინდა ამ მონაკვეთზე და ლაპლაპებდა ყინული. გავშალეთ მკლავი და ვიწყეთ ყინულის ჩეხვა. ნელ-ნელა მივიწევთ ზევით. გაძნელდა უკანასკნელ მეტრებზე ასვლა. ნელ-ნელა მივიწევთ საფეხურებზე. პალოებით დავჭედეთ მყინვარწვერის კონუსი. გაიბა თოკები და აჰა — მყინვარწვერის წვერიც. 40 წლის შემდეგ 40-მა ახალბედამ აღნიშნა პირველი საბჭოთა ასვლა. ბევრი მთასვლელი გამოაკლდა ამ ხნის განმავლობაში მთასვლელთა რიგებს. ახალბედები მდუმარედ ისმენენ მათ შესახებ დიმიტრი ობოლაძის ნაამბობს.

გამარჯვებულთა სახეზე სიხარულის ღიმილი კიაფობს, მათ ხომ ძვირფასი საჩუქარი მიუძღვნეს საბჭოთა ალპინიზმის საიუბილეო თარიღს.

ვ. გაბელაშვილი

* * *

სურათებზე: ზევით — იუბილარი მწვერვალი; ქვევით — ალპინისტები მიემართებიან მყინვარწვერისაკენ.

60 მილიონის ფონდში



ჩვენს სურათზე აღბეჭდილია ის მომენტი თბილისისა და მოსკოვის დინამოელთა მატჩიდან, როცა ლიდერის კარი აშკარად ბეწვზე ეკიდა. თბილისელთა მარცხენა გარემარბმა მ. მესხმა მიიღო გადაცემა ზ. კალოევისაგან, მოუგო ორთაბრძოლა მცველებს და კარიდან წინ გამოსულ ლ. იაშინსაც კი. მოსკოველთა მეკარე უძლურია რამე გააკეთოს. იგი მიწაზე წევს, ფორვარდი მის წინაა, ხოლო მცველი ვ. კესარევი შორიდან თვალს ადევნებს ბურთს. მაგრამ ამ დრამატული მომენტის ფინალი მოსკოველთათვის იღბლიანი გამოდგა. ბურთი სულ ოდნავ ასცდა კარს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

„მეტალურგი“ (რუსთავი)-„დინამო“ (სოხუმი) — 2 : 2 (2 : 2)

გუშინ რუსთავში შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა I ზონის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „მეტალურგი“ და სოხუმის „დინამო“.

თამაში დაიწყო მასპინძელთა იერიშებით, მაგრამ პირველ წარმატებას სოხუმელებმა მიაღწიეს. ეს მოხდა მე-14 წუთზე (ბურთი გაიტანა ფიფიამ უშუალოდ კუთხურიდან ჩამოწოდებით). წარუმატებლობამ კიდევ უფრო მძაფრი გახადა რუსთაველთა შეტევა და ჯერ 28-ე წუთზე (ქოჩიაშვილმა), ხოლო შემდეგ 32-ე წუთზე (ხაბეიშვილმა) სოხუმელთა კარი ორჯერ აიღეს. მალე მინჯიას ზუსტი დარტყმის შემდეგ სტუმრებმა გაათანაბრეს ანგარიში — 2:2. ასე დამთავრდა პირველი ტაიმი.

თამაშის მეორე ნახევარმა ჩაიარა დაძაბულ ბრძოლაში, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა. მოწინააღმდეგეებმა გათამაშების ცხრილში თითო ქულა ჩაიწერეს.

რ. გაბრიეიძე

მეორე ქვეჯგუფში

ბოლო ტურის მატჩებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანეს გათამაშების ცხრილში სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის II ქვეჯგუფის გუნდებს შორის.

დამარცხება განიცადა ლიდერმა. იაროსლავლის „შინიკი“ საკუთარ მინდორზე თამაშობდა სვერდლოვსკის „ურალმაშთან“ და გამარჯვება დარჩათ სტუმრებს — 2:1. ამავე ანგარიშით წააგო მატჩი გომელის „ლოკომოტივთან“ ფრუნზეს „ალგამ“.

ვოლგოგრადის „ტრაქტორმა“ მოუგო დნეპროპეტროვსკის „დნეპრს“ — 2:0, ზაპოროჟიეს „მეტალურგმა“—ჩელიაბინსკის „ლოკომოტივს“ —4:0. ფრედ დამთავრდა ლუგანსკის „შრ. რეზერვების“ და კრასნოდარის „კუბანის“ მატჩი — 0:0.

დღეისათვის ქვეჯგუფში 4 გუნდი ერთად ლიდერობს. ესენია: „შინიკი“ (იაროსლავლი), „კარპატი“ (ლვოვი), „შრ. რეზერვები“ (ლუგანსკი) და „ალგა“ (ფრუნზე). თვითეულ მათგანს აქვს 18 ქულა.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 16 ივლისისათვის

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
„დინამო“ (მოსკოვი)	17	9	7	1	19—5	25
„დინამო“ (მინსკი)	18	8	8	2	26—14	24
ცსკა	17	7	9	1	12—4	23
სკა (როსტოვი)	17	8	6	3	27—12	22
„დინამო“ (თბილისი)	17	8	6	3	27—15	22
„ნეფტიანიკი“ (ბაქო)	18	9	4	5	25—18	22
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	17	7	7	3	23—17	21
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	17	9	2	6	31—20	20
„ტორპედო“ (ქუთაისი)	17	5	10	2	12—9	20
„შახტიორი“ (დონეცკი)	19	6	8	5	12—13	20
„დინამო“ (კიევი)	17	6	5	6	25—25	17
„კაირატი“ (ალმა-ატა)	18	7	3	8	15—21	17
„ტორპედო“ (მოსკოვი)	17	5	6	6	21—20	16
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	18	3	9	6	15—20	15
„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	18	5	4	9	20—23	14
„მოლდოვა“ (კიშინიოვი)	19	3	8	8	14—25	14
„არარატი“ (ერევანი)	17	5	3	9	20—24	13
„ავანგარდი“ (ხარკოვი)	17	4	4	9	11—26	12
„დინამო“ (ლენინგრადი)	18	0	8	10	9—27	8
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	19	1	5	13	13—39	7

* * *

90 წუთი უგოლოდ

ტაშკენტი. „პახტაკორის“ სტადიონი. 14 ივლისი.

„პახტაკორი“ (ტაშკენტი)-„ტორპედო“ (ქუთაისი) — 0:0.

„ტორპედო“: ურუშაძე, ლოსაბერიძე, თორაძე, ცხოვრებოვი, ხუნდაძე, ნიშნიანიძე, ხაჟალია, მიროშნიკოვი, სირაძე, სიამაშვილი (მუმლაძე), ბულია.

„პახტაკორი“: კისლიაკი, ზაკიროვი, შარიპოვი, სუიუნოვი, კარიაკუმოვი, ხემიონოვი, ლიუბუშინი (აბდურაიმოვი), მალინოვსკი, კრასნიცკი, კახაროვი, ბელიაკოვი.

მსაჯი ი. ბოჩაროვი (მოსკოვი).

★

შარშანდელი დიდი წარმატების შემდეგ ტაშკენტის „პახტაკორი“ წელს ძალზე ცუდად თამაშობს. გუნდის მდგომარეობა გათამაშების ცხრილში თითქმის უიმედოა და მისი ხსნა, ე. ი. I ქვეჯგუფში დარჩენა, უზბეკელ ფეხბურთელებს მხოლოდ სასწაულით თუ შეუძლიათ, ამიტომ ისინი ცდილობენ მთელი თავიანთი შესაძლებლობანი აჩვენონ, რათა დააგროვონ საჭირო ქულათა მარაგი. ეს ქულები „პახტაკორმა“, პირველ ყოვლისა, საკუთარ მინდორზე უნდა აიღოს.

სწორედ ამიტომ იყო, რომ მასპინძლებმა მაქსიმალურ ტემპში დაიწყეს თამაში ქუთაისის „ტორპედოსთან“. ისინი ბევრს მოძრაობდნენ და გადამწყვეტი დარტყმისათვის უმზადებდნენ პოზიციას კრასნიცკის, მაგრამ ქუთაისელთა დაცვა უნარიანად იგერიებდა ამ შეტევებს.

მაღალი ტემპი, ეტყობა, ხელს უწყობდა სტუმრებსაც, რომლებიც სწრაფ კონტრიერიშებს ახორციელებდნენ მარცხენა ფრთიდან. 41-ე წუთზე ტორპედოელთა კართან მეტად სახიფათო მომენტი შეიქმნა: კრასნიცკიმ თავისუფალ ადგილზე გაიყვანა მალინოვსკი, მაგრამ ამ უკანასკნელის დარტყმა აცდა მიზანს.

მეორე ტაიმის დასაწყისში ტაშკენტელებმა ერთგვარ ტერიტორიულ უპირატესობას მიაღწიეს, მაგრამ სტუმრების კარისათვის ეს ხიფათს არ წარმოადგენდა. პირიქით, ქუთაისელთა მოულოდნელი გარღვევები უფრო მეტ უსიამოვნებას ქმნიდა „პახტაკორის“ საჯარიმო მინდორზე. მატჩის დასასრულისათვის ორივე გუნდი თითქოს შეურიგდა იმ აზრს, რომ გოლის გატანა ამ თამაშში არ მოხდებოდა. და მართლაც, მატჩი დამთავრდა უშედეგოდ — 0:0.

• • •

ამავე გუნდების დუბლშემადგენლობათა შეხვედრა დამთავრდა „პახტაკორის“ გამარჯვებით — 3:2.

ზ. იმანოვი

ფეხბურთის მინდვრებზე

შეხვდებიან „გიგანტები“

(დასასრული)

ბირთვის კვრაში გაიმარჯვა დ. ლევისმა — 19, 02 მ. ჰ. გუბნერი თითქმის მთლიანად გადაბარგდა ძალოსნობაში და ემზადება მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესოს სამჭიდში ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე. იგი მაინც შეიყვანეს ამერიკის მძლეოსანთა გუნდში. მსოფლიო რეკორდსმენი ბადროს ტყორცნაში ა. ორტური ავადმყოფობის გამო არ გამოვიდა პირველობაზე. მისი ადგილი ამერიკის გუნდში დაიკავეს რ. ბაბკამ (62,10 მ) და ჯ. სილვესტერმა (62,28 მ).

ამერიკელი შუბის მტყორცნელები არც თუ ისე ძლიერნი არიან. თუმცა მათ მიერ მიმდინარე წელს ნაჩვენები შედეგები საკმაოდ მაღალია: ლ. სტიუარტი — 81,46 მ და ფ. კოველი — 80.40. უროს ტყორცნაში მსოფლიო რეკორდსმენის ჰ. კონოლის სახელი კარგადაა ცნობილი. მიმდინარე წელს მან აჩვენა 68 მ 41 სმ, მაგრამ ერთ-ერთ შეჯიბრებაზე ტრავმა მიიღო და მოსკოვში ვერ ჩამოვა. ჯერჯერობით ცნობილია ერთი უროს მტყორცნელი, რომელიც ამერიკის სპორტის სახელს დაიცავს მოსკოვის შეჯიბრებაში. ეს არის ა. ჰოლი. იგი დიდი ხნის შესვენების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა თავის საყვარელ სახეობას და აჩვენა 65 მ და 51 სმ.

ახლა ქალების შესახებ.

მიმდინარე სეზონში არავითარი ცნობა არ არის ამერიკელ მძლეოსან ქალთა გამოსვლების შესახებ. მხოლოდ აპრილში პანამერიკულ თამაშებზე ე. მაკ-გუარმა 100 მ დაფარა 11,5 წამში. ემზადებიან გასული წლის მატჩის მონაწილენი ვ. ბრაუნი (200 მ — 23,7 წ) და ლი ბენეტი (800 მ — 2.10,4). ამერიკელ მწვრთნელებს „გიგანტთა“ ყოველ მატჩზე გამოჰყავთ მაღალი კლასის მორბენლები და მოხტუნავეები, ხანდახან მოულოდნელ სიურპრიზებს გვთავაზობენ. მაგალითად, 1961 წელს ვ. უაიტმა კინაღამ არ მოიგო სიგრძეზე ხტომა. ჯერ კიდევ ცნობილი არაა, ჩამოვა თუ არა ვილმა რუდოლფი. მას ჯერ კიდევ გასულ წელს უნდოდა დაენებებია თავი სპორტში მეცადინეობისათვის, მაგრამ როგორც იქნა დაითანხმეს გამოვიდეს სსრკ-აშშ-ს მატჩში.

ყოველწლიურად ამერიკელები აცხადებენ, რომ გამოჰყავთ უძლიერესი გუნდი, რომ მოიპოვებენ პირველ ადგილს. უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკელ მძლეოსანთა ახლანდელი გუნდი ძალზე ძლიერია თავისი შემადგენლობით, ამიტომ ბრძოლა პირველი ადგილისათვის ძნელი და სპორტულად დაძაბული იქნება.

ამერიკელი მძლეოსნები უკვე ჩამოვიდნენ მოსკოვში. გუშინ მათ ჩაატარეს პირველი საწვრთნელი ვარჯიში.

• • •

სურათზე: ჩვენი ქვეყნის უძლიერესი შუბის მტყორცნელი ე. ოზოლინა, რომელიც გამოვა სსრკ-აშშ-ხ მატჩში.

ლიდეროზს უხუცესი

ლოს-ანჯელოსის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე VI ტურის შემდეგ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. სამი პარტია ჰქონდა სათამაშო პანოს. კერესთან მან დიდი შეუპოვრობა გამოამჟღავნა და ყაიმს მიაღწია, ბენკოს კი დანებდა. სხვათაშორის ეს ბენკოს პირველი გამარჯვებაა ტურნირში. პარტია პეტროსიანთან პანომ ყაიმით დაამთავრა.

კერესს მცირე უპირატესობა ჰქონდა ნაიდორფთან. არგენტინელი ჩინებულად იცავდა თავს და უპირატესობის რეალიზება შეუძლებელი აღმოჩნდა. ამიტომ პარტნიორები ყაიმზე შეთანხმდნენ. ყაიმით დასრულდა აგრეთვე რეშევსკი-ოლაფსონის პარტია, რომელშიც ამერიკელის შანსები უფრო პერსპექტიული ჩანდა. ამ დღეს ოლაფსონმა თავის ქულათა ბალანსს მიუმატა გამარჯვება ბენკოსთან.

VI ტურის შემდეგ ტურნირს სათავეში ჩაუდგა 52 წლის მ. ნაიდორფი (4 ქულა), ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩებიან პ. კერესი და ს. გლიგორიჩი. მსოფლიო ჩემპიონ ტ. პეტროსიანთან ერთად არიან ს. რეშევსკი და ფ. ოლაფსონი. მათ 3-3 ქულა აქვთ.

ლიდერობს „ვინერ შპორტკლუბი"

ნიუ-იორკში დაიწყო ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის მეორე ჯგუფის თამაშები. მასში მონაწილეობდნენ „ვინერ შპორტკლუბი" (ავსტრია), უიპეშტის „დოჟა" (უნგრეთი), იუგოსლავიის ჩემპიონატის პრიზიორი, ზაგრების „დინამო", შვეციის „ჰელსინგბორგი", „ბელანენზესი" (პორტუგალია), პოლონეთის ჩემპიონი „გორნიკი" (ზაბჟე) და ვალადოლადის „რეალი" (ესპანეთი).

ორი ტურის შემდეგ ლიდერობენ „ვინერ შპორტკლუბი" და „უიპეშტი". მათ 4-4 ქულა აქვთ. ამ ჯგუფში გამარჯვებული ორ მატჩში უნდა შეხვდეს ინგლისის „უესტ-ჰამ იუნაიტედს", რომელმაც მოიგო ასპარეზობა ნიუ-იორკის ტურნირის პირველ ჯგუფში.

მაგრამ არც ამ მატჩში გამარჯვებული ცხადდება ნიუ-იორკის საერთაშორისო ტურნირის მომგებად. იგი კიდევ ორ მატჩს გამართავს ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონ „დუკლასთან", რომელიც ამჟამად ფლობს ნიუ-იორკის ტრადიციული ტურნირის ე. წ. „კოქსის თასს".

ყოველი მხრიდან

ბუდაპეშტი. დამთავრდა უნგრეთის XIX ტრადიციული მრავალდღიანი ველორბოლა. პირველი ადგილი დაიკავა მესაროშმა (უნგრეთი). მომდევნო ადგილები დაიკავეს პიონმა და იუშკომ (გდრ).

პრაღა. ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონი საგზატკეცილო ველორბოლაში გახდა ზ. ხასმანი. 180 კმ დისტანცია მან 4:54.10 დაფარა.

კალი (კოლუმბია). აქ დამთავრდა სამხრეთ ამერიკის პირველობა მძლეოსნობაში. წინასწარ გარბენში 100 მეტრზე მაღალი შედეგი აჩვენა ვენესუელის წარმომადგენელმა ჰერარმა—10,0. მაგრამ, როგორც გამოირკვა, ქარის სისწრაფე გარბენის დროს ყოფილა 4,90 მ წამში.

ნიუ-იორკი. შეერთებული შტატების პირველობაზე ათჭიდში პირველი ადგილი დაიკავა ს. პოლიმ — 7.852 ქულა. მეორე ადგილი წილად ხვდა მ. ემბერგერს — 7.331 ქულა. ეს ორი სპორტსმენი მონაწილეობას მიიღებს აშშ-სსრკ მძლეოსანთა ტრადიციულ მატჩში.

ბელგრადი. ბლედში დამთავრდა ნიჩბოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება. ადგილები განაწილდა შემდეგნაირად: იუგოსლავია — 19,5 ქულა, ავსტრია — 17,5 ქულა, გფრ — 17 ქულა.

ბრაილა. ბუქარესტის მოკრივეთა ნაკრებმა დაამარცხა ბელგრადის ნაკრები — 14:6.

ბუქარესტი. დამთავრდა რუმინეთისა და უნგრეთის ტანმოვარჯიშეთა ახალგაზრდული გუნდების ტურნირი. ჭაბუკებში გაიმარჯვეს რუმინელებმა, ხოლო გოგონებში— უნგრელებმა.

პრაღა. აქ ერთმანეთს შეხვდნენ უნგრეთის ფრენბურთელ ქალთა და ჩეხოსლოვაკიის გოგონათა ნაკრები გუნდები. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 3:0.

ციურიხი. მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე დელკურმა დაამყარა საფრანგეთის ახალი რეკორდი 200 მეტრზე რბენაში — 20,7. საფრანგეთის რეკორდი გააუმჯობესდა აგრეთვე თარჯრბენში 110 მ. ახალი რეკორდი ეკუთვნის დიუვიეს — 13,9.

სამი ნაკრების ტურნე

შოტლანდიისა და განსაკუთრებით ინგლისის ფეხბურთელთა ტურნეს კონტინენტზე, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ეს მაინც არ ცდება „შინაურული" ხასიათის ურთიერთობებს, ხოლო 1963 წლის საერთაშორისო საფეხბურთო ცხოვრების ცენტრალურ მოვლენას მაინც მსოფლიო ჩემპიონის — ბრაზილიის ნაკრების ვიზიტი წარმოადგენდა. ევროპა მოუთმენლად ელოდა ბრწყინვალე ხელოვანთა დიდ სპექტაკლს, რომლის პრემიერებად, პირველ ყოვლისა, ბრაზილიელები უნდა ყოფილიყვნენ.

მაგრამ დიდი სპექტაკლი არ გამოვიდა. არც ბრაზილიელები ჩანდნენ გმირების როლში. უფრო მეტიც, ისინი ზოგჯერ უხეირო კომიკოსებს უფრო ჰგავდნენ, რომელთა თამაში სიბრალულის უგემურ ღიმილს იწვევს და არა ჭეშმარიტ აღტაცებას. „დრამა კომედიური ფინალით" — ასეთი რეზიუმე გააკეთეს ევროპის გაზეთებმა ჩემპიონის მარცხიანი ექსკურსიის შემდეგ.

ძნელია იმის თქმა, თუ რომელია დრამა და რომელი — კომედია, მაგრამ ბრაზილიელებმა წააგეს პორტუგალიასთან (0:1), ბელგიასთან (1:5), ჰოლანდიასთან (0:1), იტალიასთან (0:3) და ამ სიამ ბევრ მიმომხილველს საფუძველი მისცა აბუჩად აეგდო დიდის, პელესა და გარინჩას შესანიშნავი გუნდი, რომელსაც ისინი ადრე თითქმის თაყვანისცემით უძღვნიდნენ ქებათაქებას.

საფუძველი? ბრაზილიელებმა წააგეს 4 მატჩი, 5 მოიგეს, 1 ფრედ დაამთავრეს და საერთოდ, ძალზე უფერული, მდარე ხარისხის ფეხბურთი აჩვენეს „ბატონებო, — თქვა ცნობილმა მწვრთნელმა ე. ერერამ, — ხომ ხედავთ, ბრაზილიელებმა არ იციან თამაში!"

მართალია, აქა-იქ, კანტიკუნტად გაისმოდა ხმები, რომ მსოფლიო ჩემპიონმა ვერ ჩამოიყვანა ზოზიმო, ვავა, ნ. სანტოსი, დიდი, გარინჩა, რომ ტრავმირებული იყო პელე და განახლებულ გუნდს, რასაკვირველია, არ შეეძლო გაეძლო ევროპელთა გააფთრებული წინააღმდეგობისათვის, მაგრამ უმეტესობა ჯიუტად და ნიშნისმოგებით იმეორებდა: არაფერი არ ვიცით და არც გვინდა ვიცოდეთ. ჩამოვიდა ჩემპიონი, ითამაშოს როგორც ჩემპიონმა!

ძნელი დასაჯერებელია, რომ ბრაზილიელები დაუფიქრებლად, ქარაფშუტულად მოეკიდნენ ევროპაში გამგზავრების საქმეს. მათ მშვენივრად იციან ევროპული ფეხბურთის ძალა და სიძნელეები, რომლებიც თან ახლავს ძველი სამყაროს სტადიონებზე თამაშს. განა თვით ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელს ვ. ფეოლას არ ეკუთვნის შემდეგი განცხადება: „ევროპაში 1956 წლის გასტროლები რომ არა, ჩვენ მსოფლიო ჩემპიონები არ ვიქნებოდით", სწორედ ევროპა იყო სკოლა, სადაც ბრაზილიელებმა აითვისეს კოლექტიური თამაშის პრინციპები, რომელშიც შეიქმნა ახალი სისტემა და მის ავტორებს ორმაგი ტრიუმფი მოუტანა ოქროს ქალღმერთისათვის ბრძოლაში.

რას უნდა მიეწეროს ჩემპიონის კრახი ევროპაში? ნუთუ ეს წინასწარ ჩაფიქრებული ბლეფია, რომელმაც ინგლისში უნდა აურიოს მოწინააღმდეგეებს კარტები და მიაძინოს მათი სიფხიზლე? ამაზე ბჭობენ ახლა ევროპელი ფეხბურთის გამოჩენილი სპეციალისტები, მაგრამ დისკუსიას ბოლო არ უჩანს (აზრთა შორის დიდი ანტაგონიზმია).

დავიწყოთ იმით, თუ რას ამბობენ თვით ბრაზილიელები. ამ ქვეყნის სპორტის კონფედერაციის პრეზიდენტი ჟ. ავილანჟი წერდა: „ჩვენ არც გვიფიქრია უკან გაგვეწვია ნაკრები, შეგვეცვალა მისი გამოსვლების პროგრამა ან მივვეწოდებინა მაშველი ძალა. ტურნე ჩაფიქრებული და განხორციელებული იყო როგორც 1966 წლისათვის ფეხბურთელთა მომზადების ერთ-ერთი პირველადი ეტაპი. ჩვენთვის სრულიად ნათელია, რომ შვეციისა და ჩილის ვეტერანები ბრაზილიურ ფეხბურთს ვეღარ შერჩებიან 3 წლის შემდეგ, ე. ი. რისკის გაწევა საჭიროა ახლა, რომ ნაყოფი მოვიმკოთ მოგვიანებით. ვინც ვერ წააგებს, ის ვერც მოიგებს".

ჟ. ავილანჟს აკვერი დაუკრა ვ. ფეოლამ: „ჩვენ ევროპაში სულაც არ ჩამოვსულვართ საიმისოდ, რომ დავიცვათ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, რომელსაც არავინ ესხმოდა თავს. მე კარგად ვიცნობ ევროპული ფეხბურთის კლასს და არა მქონია რაიმე ილუზიები. გამიკვირდებოდა იმ შემთხვევაში, რომ ჩვენს ნაკრებს ბეჭებზე დაეწვინა მოწინააღმდეგეები.

დარწმუნებული ვარ, რომ ნაკრების დაკომპლექტების პრინციპი ორი თაობის სინთეზზე და ისიც შორეული გამიზვნით. სამი-ოთხი წლისათვის, არამართებულია. ამ გაკვეთილს ჩვენ გავითვალისწინებთ".

საინტერესოა, რას ამბობენ ევროპელი სპეციალისტები?

ა. რამსეი (ინგლისის ნაკრების მწვრთნელი): „ახალგაზრდა ბრაზილიელთა შორის არიან პერსპექტიული მოთამაშეები, რომლებიც სამი წლის შემდეგ დიდ ოსტატებად იქცევიან. მე წინააღმდეგი ვარ გუნდის შედგენისა „ასაკობრივი მოზაიკის" პრინციპით. ასეთი გუნდები გამოსადეგია, მხოლოდ ცალკეული საერთაშორისო შეხვედრების ჩასატარებლად.

გუნდის განახლება ძნელი და ხანგრძლივი პროცესია. ყველაზე მნიშვნელოვანია აქ კოლექტივის თანდათანი შევსება, ბრაზილიელებმა კი ეს ერთი ხელის მოსმით სცადეს და სამაგიეროც მიიღეს. საერთოდ, ეტყობა, რომ ისინი გუნდს ამზადებენ მსოფლიოს VIII ჩემპიონატისათვის. ეს გონივრული ნაბიჯია".

ა. გერენი (საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი): „მსოფლიო ჩემპიონატებში ორი გამარჯვების შემდეგ ბრაზილიელები დარწმუნდნენ, რომ მათ სჭირდებათ ახალი ძალები. ამიტომ ტურნე ევროპაში არ იყო დაგეგმილი როგორც ტრიუმფალური მოგზაურობა. რომ შეინარჩუნონ საფეხბურთო ჰეგემონია, საჭიროა პირველ ყოვლისა ექსტრა-კლასის მოთამაშეთა აღზრდა, ასეთები კი ბრაზილიის ნაკრებში ახალგაზრდობაში მე ჯერჯერობით ვერ ვნახე. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი არ გაიზრდებიან და ჰეგემონიის დასასრულიც დადგა. ბრაზილიელებს სრული შესაძლებლობა აქვთ ზედიზედ მესამედ განაცვიფრონ მსოფლიო".

ფ. რიერა (პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელი): „შეცდომა იქნება ჩავთვალოთ, რომ ბრაზილიის ფეხბურთმა დაკარგა თავისი ადრინდელი თვისებები, თუმცა ტურნე მარცხიანი გამოდგა. ევროპა საგულდაგულოდ ემზადებოდა შვეციისა და ჩილის რევანშისათვის, ხოლო ბრაზილია ეძებს ახალ გუნდს. ასეთ პირობებში ყველაფერი შესაძლებელია. ბრაზილიელთა ხელმძღვანელობა არ შეუშინდა თავისი პრესტიჟის მცირე ნაწილის დაკარგვას, რის სანაცვლოდ იგი ამზადებს ღირსეულ სმენას".

ე. ერერა (იტალიის ჩემპიონის— „ინტერნაციონალეს" მწვრთნელი): „მე გაწბილებული ვარ. ძალზე ცუდი შთაბეჭდილება დამრჩა ბრაზილიის იმ გუნდზე, რომელიც მილანში თამაშობდა. ესაა მსოფლიო ჩემპიონის მხოლოდ ნედლი მაკეტი. ბრაზილიელებს შეუძლიათ რამდენიმე საეჭვო წარმატებას მიაღწიონ და ისიც მხოლოდ მაშინ, თუ მოწინააღმდეგე მოექცევა პელეს უქრობი შარავანდედის ჰიპნოზის ქვეშ. კარგს ვერაფერს ვუწინასწარმეტყველებ ბრაზილიელებს ლონდონში, თუმცა დასაშვებად მიმაჩნია, რომ სამი წლის მანძილზე შეიძლება ბევრი რამ შეიცვალოს საერთაშორისო ფეხბურთში".

ზ. ჰერბერგერი (გფრ-ს ნაკრების მწვრთნელი): „სოლისტები გუნდში ამჟამად აუცილებლობად იქცა. სოლისტის ნეიტრალიზება შეუძლებელია ისე, თუ გუნდმა არ დაარღვია თავისი ჩვეული ტაქტიკური ნახაზი და მოთამაშეთა განლაგება. ბრაზილიელებს ჰყავთ სოლისტი პელე, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა უაღრესად ძნელი საქმეა. მე შემექმნა შთაბეჭდილება, რომ ბრაზილიის ნაკრების ახალგაზრდა მოთამაშეებს არასაკმარისი ფიზიკური მომზადება გააჩნიათ, მაგრამ მათი ტექნიკური ოსტატობა უდავოა".

ევროპელთა ეს გამოთქმები ძალზე საყურადღებოა. საინტერესოა, რომელი მათგანი გამართლდება.

რ. კორიძე

• • •

სურათებზე: ზევით — „ინტერნაციონალეს" მწვრთნელი ე. ერერა იტალიისა და ბრაზილიის ნაკრები გუნდების მატჩზე. ქვევით — პორტუგალიის ნაკრები გუნდის მწვრთნელი ფ. რიერა.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო" № 137.

სხვათა შორის...

ცოცხალი „გეოგრაფია"

მექსიკის ჩოგბურთელთა ნაკრები გუნდის კაპიტანს პანჩო კონტრერას ჰყავს ოთხი ქალიშვილი. ყველა ისინი დაიბადნენ მაშინ, როცა მათი მამა საერთაშორისო ტურნირებზე იმყოფებოდა უიმბლდონში, ალტამირში, კლივლენდსა და ბრისბორნში.

პ. კონტრერას ბევრი არ უფიქრია და თავის ქალიშვილებს ასეც დაარქვა: უიმბლდონი, ალტამირი, კლივლენდი და ბრისბორნი.

ჭეშმარიტად ცოცხალი გეოგრაფიაა.

რედაქტორი ი. უგულავა.

დღეს!

ფეხბურთი

„დინამოს" სტადიონი

სსრ კავშირის პირველობა

(„ბ" კლასი)

„ლოკომოტივი"

(თბილისი) —

„მეტალურგი" (ჩიმკენტი)

დასაწყისი 18 ს. 30 წ.

ЛЕЛО
ИНДЕКС 66448

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 01125